სესხის გამცემი სუბიექტი - სს „ჯეოკაპიტალი-ს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412675528) მიმართ
დაკისრებული ფულადი ჯარიმის თაობაზე

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სესხის გამცემი სუბიექტი - სს „ჯეოკაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412675528) (რეგისტრაციის ნომერი № სგს-0420180) „სესხის გამცემი სუბიექტისთვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის №218/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის №235/04 ბრძანების საფუძველზე 5 000 (ხუთი ათასი) ლარით დააჯარიმა, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს ეროვნული ბანკის 2023 წლის 20 ოქტომბრის №975-1კ წერილობითი მითითებით განსაზღვრული მოთხოვნის განმეორებით შეუსრულებლობიდან.